



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბუნებრივ ნაერთთა ანალიზი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
15 ივნისი 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი
04.08.2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245 428 158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბუნებრივ ნაერთთა ანალიზი
განათლების საფეხური	დოქტორანტურა (მესამე)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ქიმიის დოქტორი 0531
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	პროგრამა ამჟამად არის ავტორიზებულ რეჟიმში, პროგრამა იყო პირობითად აკრედიტებული აკრედიტაციის საბჭოს მიერ 2018 წლის 27 ივლისის #87-ე გადაწყვეტილებით. პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1 წლის ვადით, პირობითი აკრედიტაციის ვადა გაუვიდა 2019 წლის 27 ივლისს. პროგრამა მოცემულია ჩამონათვალში ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 ივლისის #56 გადაწყვეტილებაში (თუმცა, რადგან აკრედიტაციის ვადა გაუვიდა, ამჟამად არ ხორციელდება)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რევაზ კორაშვილი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ინგა ლომაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი ბილანიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ბუნებრივ ნაერთთა ანალიზი“ მომზადებულია სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ბსუ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პერსონალის მიერ. პროგრამა ფუნქციონირებს 2013 წლიდან, 2018 წელს მიენიჭა ერთწლიანი პირობითი აკრედიტაცია და ამჟამად გადის აკრედიტაციის პროცესს ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამით დოქტორის მომზადების ნორმატიული ვადა 3 წელია (მაქსიმალური ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 5 წელი) და მოიცავს 180 კრედიტს, აქედან 60 კრედიტი სასწავლო კომპონენტია და 120 კრედიტი კვლევითი კომპონენტი. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

პროგრამა ორიენტირებულია შავიზღვისპირა რეგიონის ბუნებრივი ნაერთების ქიმიურ შესწავლაზე და მათი გამოყენების ტექნოლოგიების შემუშავებაზე. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებით მდიდარი მცენარეთა ნაყოფის შესწავლაზე თანამედროვე ინსტრუმენტული ანალიზის მეთოდებით.

პროგრამის ძლიერი მხარეა კვლევებში ანალიზის და დაყოფის თანამედროვე მეთოდების (მასსპექტრომეტრია, თხევადი და გაზური ქრომატოგრაფია) აქტიური გამოყენება, აგრეთვე პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე თემატიკა. 2018 წლის აკრედიტაციის ვიზიტის შემდეგ პერიოდში მოხდა ყველა მნიშვნელოვანი რეკომენდაციის და რჩევის გათვალისწინება და შესამჩნევია ხარისხის გაუმჯობესება თითქმის ყველა სტანდარტში.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 15 ივნისს და დაგეგმილი განრიგის შესაბამისად წარიმართა. ჯგუფში შედიოდა სამი ექსპერტი (რევაზ კორაშვილი, ინგა ლომაძე და ანი ბილანიშვილი).

ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან: უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, ყოფილ და მოქმედ დოქტორანტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

ვიზიტის ფარგლებში მოხდა ბსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (ლაბორატორიები, აუდიტორია, ბიბლიოთეკა). ვიზიტმა ჩაიარა სამუშაო ატმოსფეროში, უნივერსიტეტის მხრიდან იყო ყველანაირი ხელშეწყობა და მზაობა ვიზიტის სრულყოფილად განსახორციელებლად.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტების აზრით სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ბუნებრივ ნაერთთა ანალიზი“ ოთხ სტანდარტში სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო ერთი სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

გასაუმჯობესებელი მხარეები აისახა ორ რეკომენდაციაში და ხუთ რჩევაში, რომლებიც ქვემოთაა მოყვანილი.

▪ **რეკომენდაციები**

1. სასწავლო კურსების „სოციალური ფსიქოლოგია დოქტორანტებისთვის“, „აკადემიური წერა“ და „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ სილაბუსებში გასწორდეს შეფასების სქემაში ხარვეზები, კერძოდ: სასწავლო კურსის **„სოციალური ფსიქოლოგია დოქტორანტებისთვის“** შეფასების კრიტერიუმებს არ აქვს ქულების მახასიათებლები (შეფასების სკალა); სასწავლო კურსის **„სწავლების თანამედროვე მეთოდები“** შუალედური გამოცდის კრიტერიუმები და შეფასების სკალა არ არის ასახული სილაბუსში, დასკვნითი გამოცდის კრიტერიუმებს არ აქვს ქულების მახასიათებლები; სასწავლო კურსს **„აკადემიური წერა“** შეფასების სქემაში დასკვნითი გამოცდის შეფასების რუბრიკებში არ აქვს ქულების მახასიათებლები, ხოლო სადაც არის მითითებული მაქსიმალური ქულა (მაგ. 3 ქულა) შეფასების სქემაში უნდა იყოს განსაზღვრული დონეების ქულების მახასიათებლები. გარდა ამისა, ამავე სილაბუსში გაწერილია შუალედური გამოცდის შეფასების კრიტერიუმები, მაგრამ გამორჩენილია შეფასების მეთოდის მითითება.
2. მოვიდეს პროგრამა შესაბამისობაში უმაღლესი განათლების შესახებ კანონთან.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. კვლევის დროს მეტი აქცენტი გაკეთდეს ახალი ნაერთების აღმოჩენასა და შესწავლაზე და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენაზე, როგორც პროგრამის მიზნებშია გაწერილი.
2. სასწავლო კურსების „სოციალური ფსიქოლოგია დოქტორანტებისთვის“, „აკადემიური წერა“ და „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“, ძირითად და დამატებით ლიტერატურის ნაწილში სასურველია დაემატოს ინგლისურენოვანი ლიტერატურული წყაროებიც. სასწავლო კურსების „სოციალური ფსიქოლოგია დოქტორანტებისთვის“ და „აკადემიური წერა“ სულაბუსებში დამატებით ლიტერატურაში არსებული უცხოენოვანი ლიტერატურა სასურველია იყოს ინგლისურ ენაზეც;
3. სასწავლო კურსის „აკადემიური წერა“ სილაბუსში დამატებითი ლიტერატურიდან წყაროები- გოჩიტაშვილი ქ., შაბაშვილი გ., შარაშენიძე ნ., „აკადემიური წერა“ და შავთვალაძე ნ., დუნდუა შ., აკადემიური წერა,, სასურველია გადატანილ იქნას

მირითად ლიტერატურაში, გარდა ამისა მითითებული ინტერნეტ მისამართები საჭიროებს გადამოწმებას.

4. სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი არღარ შეფასდეს კრედიტებით.
5. სასურველია დოქტორანტები უფრო აქტიურად იყენებდნენ უნივერსიტეტის შიდა ქსელში ხელმისაწვდომ ელექტრონულ ჟურნალებს და მონაცემთა ბაზებს.
6. სასურველია პროგრამის შეფასებაში უცხოელი ექსპერტის ჩართვა.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

1. დოქტორანტების მიღება ხდება გრანტის არსებობის შემთხვევაში, რაც აძლიერებს სადოქტორო სამუშაოს ფინანსურ უზრუნველყოფას.
2. მისასაღმებელია დოქტორის ხარისხის დაცვისათვის უცხოელი ექსპერტის დასკვნის აუცილებლობა.
3. მისასაღმებელია უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერის ჩართვა პროგრამაში.
4. ლაბორატორიის ხელსაწყოებით დაკომპლექტება, რომლის ბაზაზეც ხორციელდება წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა, ქართული რეალობისათვის არის უნიკალური;
5. დოქტორანტთა ფინანსური მხარდაჭერა (გრანტები, შიდა დაფინანსება, კომერციული შეკვეთები).
6. ლაბორატორიის კომერციული საქმიანობიდან მიღებული სახსრების ნაწილი ხმარდება სასწავლო პროცესს.

▪ **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

1. 2018 წლის ვიზიტის შემდეგ რეკომენდაციის გათვალისწინებით შეიცვალა პროგრამის დასახელება (ბიოორგანული ქიმია), მოხდა პროგრამის მიზნების თანხვედრა პროგრამის შინაარსთან და სახელწოდებასთან.
2. პროგრამის მიზნები გაცდა ვიწრო გეოგრაფიული არეალის კვლევას.
3. საგანში „კვლევის მეთოდები და ხერხები“ ექსპერტების რჩევის შესაბამისად დაემატა ბირთვულ მაგნიტური რეზონანსული სპექტროსკოპიის თეორიული საკითხები;
4. ექსპერტების რჩევის შესაბამისად პროგრამას დაემატა ორგანული ქიმიის არჩევითი კურსი;
5. სასწავლო კურსებიდან ამოღებულ იქნა ლაბორატორიული მეცადინეობები.
6. 2018 წელს განხორციელებული აკრედიტაციის ვიზიტის შემდეგ რეკომენდაციების და რჩევების გათვალისწინებით შედგა სამეცნიერო თანამშრომლობა გერმანელ პარტნიორებთან, შედგა ორმხრივი ვიზიტები, ჩატარდა ერთობლივი კვლევები და შედეგები აისახა ერთობლივ პუბლიკაციაში იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში.
7. აკრედიტაციის ბოლო ვიზიტის შემდგომ მოხდა მეოთხე სტანდარტში რეკომენდაციის და რჩევების სრულად გათვალისწინება. კერძოდ, გამოქვეყნებულია სტატიები იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში და პროგრამა გაძლიერდა მაღალი კვალიფიკაციის მქონე ახალგაზრდა პერსონალით.

8. 2018 წლის ვიზიტის შემდგომ მოხდა რამდენიმე ახალი ხელსაწყოების შეძენა და ლაბორატორიის ფართის მომატება.
9. აკრედიტაციის ბოლო ვიზიტის შემდგომ მოხდა რჩევის გათვალისწინება და კონკრეტულად ამ პროგრამის ბიუჯეტის გაწერა.
10. პროგრამიდან ამოღებულია გამოცდებზე დაშვების წინაპირობად ლექციების 50% -ზე დასწრების ვალდებულება.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ბსუ-ს ქიმიის სადოქტორო პროგრამა აგებულია უნივერსიტეტის პრიორიტეტებისა და მისიის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებას.

პროგრამის მიზნებში შედის ქიმიური კვლევების განხორციელება თანამედროვე ინსტრუმენტული მეთოდებით, ბიოლოგიური ობიექტებიდან ახალი და უცნობი, ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთთა გამოყოფას, ნაერთების თვისობრივი რეაქციების საშუალებით ქიმიურ ნაერთთა კლასის განსაზღვრას, ქიმიური შედგენილობისა და აღნაგობის დადგენას თანამედროვე ინსტრუმენტული მეთოდების გამოყენებით, ამ ნივთიერებათა სხვადასხვა ფიზიო-ლოგიური აქტიურობის განსაზღვრას. ნივთიერების შედგენილობის, სტრუქტურისა და ბიოაქტიურობის დამოკიდებულების შესწავლას. ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებით მდიდარი კონცენტრატების, პრეპარატების, ბუნებრივი საღებავების მიღების ტექნოლოგიური სქემის შემუშავებას. აღნიშნულ კვლევებს აქვს არა მარტო სამეცნიერო, არამედ პრაქტიკული და სოციალური ღირებულებაც. შესაძლებელი იქნება ბუნებრივი რესურსების კომპლექსური ქიმიური კვლევა მათი რაციონალური გამოყენებისა და დაცვის მიზნით; მცირე საწარმოებისა და მომხმარებელთათვის ნედლეულის გადამუშავებისა და მოხმარების საუკეთესო ფორმების, ხოლო ფარმაცევტული მრეწველობისათვის - ახალი სანედლეულო მასალის მიწოდება, რომელშიც მაქსიმალურად იქნება შენარჩუნებული ნაერთთა სასარგებლო ბიოაქტივობა.

უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, პროგრამის მიზანია აგრეთვე, სწავლებისა და სამეცნიერო მუშაობისათვის შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი კვალიფიციური მეცნიერის ჩამოყალიბება, რომელიც წარმატებით განახორციელებს სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას სწავლების სამივე აკადემიურ საფეხურზე; შეძლებს ცოდნისა და უნარ-ჩვევების გენერაციას, ტრანსფორმაციას; განახორციელებს ინოვაციურ კვლევებს; შეძლებს ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების გაანალიზებას, სინთეზს და შეფასებას, საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში

უცხოურ ენაზე კომუნიკაციას, აგრეთვე აღიჭურვება ღირებულებათა დამკვიდრების გზების ძიების უნარით. პროგრამის მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული და ლოგიკურადაა დაკავშირებული სწავლის შედეგებთან. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის ორიენტირებულობას დასაქმების ბაზარზე ცხადყოფს კურსდამთავრებულთა და დოქტორანტთა დასაქმების მაჩვენებელი და დამსაქმებელთა ინტერესი. როგორც დოქტორანტები, ასევე კურსდამთავრებულები დასაქმებულნი არიან კვლევით, ქიმიურ ლაბორატორიებსა და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ქიმიის სადოქტორო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ბსუ-ს მისია; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან; ○ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ 2018 წლის ვიზიტის შემდეგ რეკომენდაციის გათვალისწინებით შეიცვალა პროგრამის დასახელება, მოხდა პროგრამის მიზნების თანხვედრა პროგრამის შინაარსთან და სახელწოდებასთან. ○ პროგრამის მიზნები გაცდა ვიწრო გეოგრაფიული არეალის კვლევას.
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სასწავლო კურსების მიზანი, სწავლის შედეგი და სწავლების მეთოდები გამომდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამების მიზნიდან და სწავლის შედეგებიდან. სასწავლო კურსები შინაარსობრივად თანმიმდევრულია და სტუდენტს უწყალებს დარგობრივ კომპეტენციებსა და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს. შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური.
- ბსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი მექანიზმები: ა) საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების რუკის მიხედვით - შეფასების სხვადასხვა მეთოდის ადეკვატურობის განსაზღვრა და რეკომენდაციების გაწევა; ბ) ლექციებსა და პრაქტიკული მეცადინეობების მონიტორინგი, რომელიც იძლევა საშუალებას განისაზღვროს შეფასების მეთოდებისა და განხორციელების შესაბამისობა გ) გამოცდების და მიმდინარე შეფასების ანალიზი, რომელიც იძლევა წარმოდგენას სწავლის შედეგების მიღწევის თაობაზე დ) სტუდენტთა გამოკითხვა; ე) კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; ვ) დამსაქმებელთა გამოკითხვა დ) შეფასების უკუკავშირის მექანიზმი.
- საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტები (სავალდებულო და არჩევითი კურსები, სემინარი, პროფესორის ასისტენტობა) და კვლევითი კომპონენტის ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო და დასაქმების ბაზარზე კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას თვალნათლივ მოწმობს მათი დასაქმების მაჩვენებელი, დამსაქმებლებთან გასაუბრება და გამოკითხვების ანალიზის შედეგები.
- მიუხედავად ბოლო წლებში სწავლის შედეგების მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისა, ვთვლით, რომ არსებული რესურსებით შესაძლებელია უფრო მაღალი შედეგების მიღწევა განსაკუთრებით ფუნდამენტური კვლევების მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- დისერტაციების და თეზისების განხილვა;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 ოქტომბრის, N 104 დადგენილება ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული შეფასების შედეგების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ კვლევის დროს მეტი აქცენტი გაკეთდეს ახალი ნაერთების აღმოჩენასა და შესწავლაზე და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენაზე, როგორც პროგრამის მიზნებშია გაწერილი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ◦ ქიმიის სადოქტორო პროგრამაზე მიღება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების შესაბამისად, სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში განსაზღვრული არ არის მხოლოდ კონკრეტული პროფესიის მაგისტრების მიღება, რაც სწავლის შესაძლებლობას აძლევს მსურველების უფრო ფართო ჯგუფს. ◦ სადოქტორო პროგრამაზე მიღებას აცხადებს ფაკულტეტი. დოქტორანტურაში მისაღები კონკურსის შესახებ ინფორმაცია განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე. კარგია, რომ დოქტორანტობის კანდიდატი აბარებს გამოცდას უცხო ენაში და გაივლის გასაუბრებას (გამოცდა სპეციალობაში) დარგობრივ კომისიასთან, რითაც მისი ქიმიის ცოდნა მოწმდებაგარდა. გარდა ამისა, სადოქტორო პროგრამაზე მიღებისას აპლიკანტს მოეთხოვება სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე ანოტაცია, სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა და ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, რითაც დამატებით მოწმდება აპლიკანტის კომპეტენცია. ◦ ბსუ-ს ქიმიის სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალე, სამართლიანი და ადეკვატურია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ◦ „ბსუ–სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“; ◦ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილება „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“; ◦ საგანმანათლებლო პროგრამა; ◦ თვითშეფასების ანგარიში; ◦ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან და დოქტორანტებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ დოქტორანტების მიღება ხდება გრანტის არსებობის შემთხვევაში, რაც აძლიერებს სადოქტორო სამუშაოს ფინანსურ უზრუნველყოფას.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. დოქტორის მომზადების ნორმატიული ვადა 3 წელია (მაქსიმალური ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 5 წელი). სადოქტორო პროგრამა 180 კრედიტის ოდენობით, წარმოადგენს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას, საიდანაც 60 კრედიტი ეთმობა სასწავლო, ხოლო დანარჩენი-120 სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. ○ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში 05/10/2018-ში შეტანილი ცვლილებების თანახმად 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში წერია: „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს.“ კანონში აღარ არის დოქტორანტურის კვლევითი კომპონენტის კრედიტებით შეფასებაზე ჩანაწერი. აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე, სადოქტორო პროგრამაში კვლევითი კომპონენტებისთვის კრედიტების მინიჭება აღარ ხდება. ○ დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს

დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შესრულებას, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის. ○ სასწავლო კომპონენტი გულისხმობს სავალდებულო და არჩევით სალექციო კურსებს, პროფესორის ასისტენტობას და სემინარების შესრულებას. ○ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული კურსების წყობა თანმიმდევრულია და მათი შინაარსი ვითარდება ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. პროგრამის სტრუქტურა მაქსიმალურად ითვალისწინებს სასწავლო კურსებს შორის ლოგიკურ კავშირს. ○ პროგრამაში შემავალ კომპონენტებს დაშვების წინაპირობები არ გააჩნია, რაც სადოქტორო პროგრამისთვის ლოგიკურია. ○ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ქიმიის სადოქტორო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სილაბუსები; ○ ინტერვიუები სასწავლო და სამეცნიერო პერსონალთან; ○ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ 2019 წლის 10 აპრილი, ეროვნული კვალიფი-კაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ; ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“.
რეკომენდაციები: მოვიდეს პროგრამა შესაბამისობაში უმაღლესი განათლების შესახებ კანონთან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ ექსპერტების რეკომენდაციის გათვალისწინებით პროგრამას შეეცვალა სახელწოდება; ○ ექსპერტების რჩევების გათვალისწინებით გაერთიანდა მსგავსი შინაარსის საგნები; ○ პროგრამას დაემატა ორგანული ქიმიის კურსი;

○ ექსპერტების რჩევის შესაბამისად პროგრამიდან ამოღებულ იქნა ლაბორატორიული მეცადინეობები.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი ➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამაში არსებულ სწავლის შედეგებთან, რაც წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის ცხრილის სახით. ○ თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში რანჟირებულ კვალიფიკაციათა მერვე დონეს პროგრამაში. ○ სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია დარგის აქტუალურ მიღწევებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ○ სასწავლო კურსების ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა ითვალისწინებს დარგის უახლეს მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. თუმცა, სასწავლო კურსების „სოციალური ფსიქოლოგია დოქტორანტებისთვის“, „აკადემიური წერის“ და „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“, ძირითად და დამატებით ლიტერატურის ნაწილში არ არის ინგლისურენოვანი ლიტერატურული წყაროები. სასწავლო კურსების „სოციალური ფსიქოლოგია დოქტორანტებისთვის“ და „აკადემიური წერა“ სილაბუსებში დამატებით ლიტერატურაში გვხვდება რუსულად თარგმნილი ლიტერატურა, რომელიც სასურველია იყოს ინგლისურ ენაზეც. სასწავლო კურსის სილაბუსში „აკადემიური წერის“ დამატებითი ლიტერატურიდან წყაროებიდან გოჩიტაშვილი ქ.,

შაბაშვილი გ., შარაშენიძე ნ., „აკადემიური წერა“ და შავთვალაძე ნ., დუნდუა შ., აკადემიური წერა,, უმჯობესია გადატანილ იქნას ძირითად ლიტერატურაში და აგრეთვე გადასამოწმებელია ინტერნეტ მისამართები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ◦ ქიმიის სადოქტორო პროგრამა; ◦ თვითშეფასების ანგარიში; ◦ სილაბუსები; ◦ ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ◦ სასწავლო კურსების „სოციალური ფსიქოლოგია დოქტორანტებისთვის“, „აკადემიური წერის“ და „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“, ძირითად და დამატებით ლიტერატურის ნაწილში სასურველია დაემატოს ინგლისურენოვანი ლიტერატურული წყაროებიც. სასწავლო კურსების „სოციალური ფსიქოლოგია დოქტორანტებისთვის“ და „აკადემიური წერა“ სულაბუსებში დამატებით ლიტერატურაში არსებული უცხოენოვანი ლიტერატურა სასურველია იყოს ინგლისურ ენაზეც; ◦ სასწავლო კურსის „აკადემიური წერა“ სილაბუსში დამატებითი ლიტერატურიდან წყაროები- გოჩიტაშვილი ქ., შაბაშვილი გ., შარაშენიძე ნ., „აკადემიური წერა“ და შავთვალაძე ნ., დუნდუა შ., აკადემიური წერა,, სასურველია გადატანილ იქნას ძირითად ლიტერატურაში, გარდა ამისა მითითებული ინტერნეტ მისამართები საჭიროებს გადამოწმებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ◦ საგანში „კვლევის მეთოდები და ხერხები“ ექსპერტების რჩევის შესაბამისად დაემატა ბირთვულ მაგნიტური რეზონანსული სპექტროსკოპიის თეორიული საკითხები; ◦ ექსპერტების რჩევის შესაბამისად პროგრამას დაემატა ორგანული ქიმიის არჩევითი კურსი; ◦ სასწავლო კურსებიდან ამოღებულ იქნა ლაბორატორიული მეცადინეობები.
შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ტრანსფერული უნარების განვითარება	და
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.	
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი - ბსუ-ს ქიმიის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის მიზნების შესაბამისად დროის ძირითადი ნაწილი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეთმობა. 180-დან 120 კრედიტი სწორედ კვლევით კომპონენტზე მოდის, ხოლო დარჩენილი სასწავლო 60 კრედიტიდან ძირითადი ნაწილი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას ხმარდება. - ბსუ-ს ქიმიის სადოქტორო პროგრამის პრაქტიკული ნაწილი ხორციელდება უნივერსიტეტში არსებულ ქრომატოგრაფიის ცენტრში, სადაც პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის და სამეცნიერო კვლევებისთვის სრულად შესაბამისი პირობებია. ცენტრი აღჭურვილია ანალიზის თანამედროვე ხელსაწყოებით, მარაგდება რეაქტივებით და სახარჯი მასალებით და დაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიკაციის პერსონალით. - სწავლების პრაქტიკული ნაწილი პროგრამის ძლიერი მხარეა, ამაზე მოწმობს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და დამსაქმებლებთან ინტერვიუები. - ბოლო პერიოდში გაიზარდა პროგრამაში ჩართული პერსონალის და დოქტორანტების სამეცნიერო მიღწევები, რაც შესაბამისად აისახა საერთაშორისო პუბლიკაციებზე. - ჯამში პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შესაბამისად სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას, თუმცა ჩვენი აზრით არსებული რესურსებით ფუნდამენტური კვლევების მიმართულებით მეტის მიღწევაა შესაძლებელი. დაცულ დისერტაციებში აქცენტი კეთდება ბუნებრივ ნედლეულში უკვე ცნობილი სასარგებლო ნაერთების აღმოჩენაზე და მათ რაოდენობრივ ანალიზზე, რაც მაღალ დონეზეა შესრულებული. შესრულებული სადოქტორო სამუშაოების შინაარსი, მოცულობა და ხარისხი საკმარისია დოქტორის კვალიფიკაციის მისაღწევად, თუმცა, სასურველია მომავალში აქცენტი გაკეთდეს ახალი ნაერთების აღმოჩენასა და შესწავლაზე.	

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ქიმიის სადოქტორო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სილაბუსები; ○ ინტერვიუები პროგრამაში ჩართულ პერსონალთან და დოქტორანტებთან; ○ ვიზიტი ქრომატოგრაფიის ცენტრში; ○ გამოქვეყნებული პუბლიკაციები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ კვლევის დროს მეტი აქცენტი გაკეთდეს ახალი ნაერთების აღმოჩენასა და შესწავლაზე და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენაზე, როგორც პროგრამის მიზნებშია გაწერილი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ 2018 წელს განხორციელებული აკრედიტაციის ვიზიტის შემდეგ რეკომენდაციების და რჩევების გათვალისწინებით შედგა სამეცნიერო თანამშრომლობა გერმანელ პარტნიორებთან, შედგა ორმხრივი ვიზიტები, ჩატარდა ერთობლივი კვლევები და შედეგები აისახა ერთობლივ პუბლიკაციაში იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში.
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ სადოქტორო პროგრამის სწავლის პროცესში სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების განსახორციელებლად გამოიყენება სპეციფიკიდან გამომდინარე სხვადასხვა მეთოდები, რომელიც შეესაბამება სადოქტორო საფეხურს, შინაარსს და სწავლის შედეგებს . ○ სწავლის პროცესში კონკრეტულ სილაბუსებში სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის სხვადასხვა მეთოდები, მაგალითად, ვერბალური, წერითი მუშაობის, დემონსტრირების, კვლევების კრიტიკული ანალიზის (“journal club”), სიტუაციის ანალიზი, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების და სხვა მეთოდები. ○ პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდები ითვალისწინებს დოქტორანტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. ○ თითოეული დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან, შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, სწავლის დაწყებიდან 2 თვეში ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევით გეგმებს ○ დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა იქმნება სადისერტაციო ნაშრომის (კონკრეტული კვლევითი პროექტის) განსახორციელებლად. დოქტორანტის ინდივიდუალურ კვლევით გეგმაში მოცემულია კვლევის მიზანი, სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის სავარაუდო განრიგი. ○ პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას ○ ინტერვიუდან გამოიკვეთა აგრეთვე რომ სემესტრის დასასრულს ხორციელდება აღნიშნული სწავლება-სწავლის მეთოდების სწორად შერჩევის მონიტორინგი, რომლის გამოიყენება პროგრამის განვითარებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ბუნებრივ ნაერთთა ანალიზი“; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ბსუ-ს ქიმიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას აქვს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას და შეესაბამება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებას. სტუდენტების შეფასების წესი დეტალურადაა გაწერილი სილაბუსებში და ბსუ-ს დოქტორანტურის აგრეთვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ დებულებაში
- სწავლის შეფასების სისტემა ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.
- სტუდენტის შეფასების წესში შეფასების პროცესი შემდეგნაირადაა გაწერილი: სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც შუალედურ შეფასებას ეთმობა მინიმუმ 40 და მაქსიმუმ 60 ქულა. შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების ნაწილს წარმოადგენს შეფასების კომპონენტები, რომლებიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების მეთოდებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.):
- შუალედური შეფასება შეიძლება მოიცავდეს: შუალედურ გამოცდას - 20 ქულა და მიმდინარე შეფასებებს - მაქსიმუმ 40 ქულა. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 35% (60 ქულის შემთხვევაში - 21 ქულა), დასკვნითი

გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 50% (40 ქულის შემთხვევაში - 20 ქულა). 2018 წლის აკრედიტაციის ექსპერტების რჩევის გათვალისწინებით, პროგრამიდან ამოღებულია გამოცდებზე დაშვების წინაპირობად ლექციების 50% - ზე დასწრების ვალდებულება.

- ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ ბსუ-ში მოქმედი გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის მიხედვით, გამოცდა ტარდება კომისიური წესით ნაშრომების დაშიფვრის ხერხით და სტუდენტს აქვს საშუალება სასწავლო კურსის პროფესორთან უშუალოდ დაამყაროს კავშირი და მიიღოს რჩევები სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზების შესახებ, მიღებულ შეფასებაზე არ დათანხმების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია გამოიყენოს აპელაციის მექანიზმი.
- საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სილაბუსის სპეციფიკიდან გამომდინარე გათვალისწინებულია ტრადიციული და ინტერაქტიული შეფასების მეთოდები, მაგალითად, კვლევების კრიტიკული ანალიზი “journal club”, შემთხვევის ანალიზი, და სხვა. აგრეთვე სტუდენტის ცოდნის შეფასებისას სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტებში გათვალისწინებულია შედეგების მიხედვით ღია კრიტერიუმები. სილაბუსებში შეფასებები უმეტესად წარმოდგენილია ანალიტიკური შეფასების სქემებით/რუბრიკები. თუმცა, სასწავლო კურსის „**სოციალური ფსიქოლოგია დოქტორანტებისთვის**“ შეფასების კრიტერიუმებს არ აქვს ქულების მახასიათებლები (შეფასების სკალა) სასწავლო კურსის „**სწავლების თანამედროვე მეთოდების**“ შუალედური გამოცდის კრიტერიუმები და სკალა არ არის ასახული სილაბუსში, დასკვნითი გამოცდის კრიტერიუმებს არ აქვს ქულების მახასიათებლები. სასწავლო კურსის „**აკადემიური წერა**“ შეფასების სქემაში დასკვნითი გამოცდის შეფასების რუბრიკებში არ აქვს ქულების მახასიათებლები, ხოლო სადაც არის მითითებული მაქსიმალური ქულა (მაგ. 3 ქულა) შეფასების სქემაში უნდა იყოს განსაზღვრული დონეების ქულების მახასიათებლები. გარდა ამისა გაწერილია შუალედური გამოცდის შეფასების კრიტერიუმები, მაგრამ გამორჩენილია შეფასების მეთოდის მითითება.
 - პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს 2 კოლოქვიუმსა და სადისერტაციო ნაშრომს. სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის პროცედურა და შეფასების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს დებულებით და შედგება რამდენიმე ეტაპისგან. საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს კვლევის შედეგები კოლოქვიუმების სახით. ამის გარდა სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება აპრობაციის პროცედურით, შესაბამისი კვალიფიკაციის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე რეცენზენტების მიერ, რომელთა დასკვნის საფუძველზე ხდება სადისერტაციო ნაშრომის აპრობაცია შესაბამის დარგობრივ დეპარტამენტში. ამავდროულად დოქტორანტს უნდა ჰქონდეს მინიმუმ ხუთი ნაშრომი/სტატია მომზადებული, აქედან მინიმუმ ერთი იმპაქტ-ფაქტორიანი. ჩვენი აზრით დოქტორანტისთვის ხუთი სერიოზული ნაშრომის მომზადება საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა და ბევრ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს. თუმცა, როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა აგვიხსნა, აქ ძირითადად მოიაზრება შიდასაუნივერსიტეტო კონფერენციებში მონაწილეობა და პუბლიკაციები

ადგილობრივ ჟურნალებში, რაც ემსახურება დოქტორანტის მომზადებას სერიოზული ნაშრომისთვის და არ იწვევს მათ გადატვირთვას, რაც მისაღებია.

○ დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრულია შემდგომი შეფასების მრავალსაფეხურიანი პროცედურა- სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ დისერტაციას, საერთაშორისო რეცენზირებისთვის, ასევე გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ ინფორმაციას, გადასცემს სამეცნიერო კვლევების სამსახურს, რომელიც ახორციელებს დისერტაციის და ავტორეფერატის ტექნიკური პარამეტრების ექსპერტიზას. ისინი ადგენენ დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესაბამისობას არსებულ მოთხოვნებთან, უზრუნველყოფენ ინგლისურენოვანი ექსპერტის საერთაშორისო რეცენზირებას და შესაბამის დასკვნებს გადასცემენ სადისერტაციო საბჭოს. ამ ეტაპის წარმატებული გავლის შემდეგ ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯაროობისა და გამჭვირვალობის მიზნით, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე შეარჩევს 3 შემფასებელს, რომელთაც ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო. შემფასებლები თავიანთ შეფასებებს დასკვნების სახით გადასცემენ სადისერტაციო საბჭოს. დასკვნაში უნდა შეფასდეს ჩატარებული კვლევის აქტუალობა, სიახლე, ორიგინალობა, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის დიზაინის და მეთოდოლოგიის ადეკვატურობა, კვლევის პირველადი მასალის ობიექტურობა და სარწმუნოობა, დისერტაციის სტრუქტურა, გაფორმების ხარისხი და ენობრივი გამართულობა. დასკვნაში მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილება დისერტაციის დაცვაზე დაშვების/დაუშვებლობის შესახებ. სადისერტაციო ნაშრომის ამ ეტაპების წარმატებით გავლის შემდეგ, ნაშრომი წარდგება საჯარო დაცვისთვის ამ მიზნით შექმნილი დარგობრივი სადისერტაციო კომისიის წინაშე. დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შესაბამისი დარგის/სპეციალობის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლები და უფროსი მეცნიერ-თანამშრომლები. ასევე შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირები საქართველოდან და უცხოეთიდან (მოიწვევა რექტორის ბრძანებით, სადისერტაციო საბჭოს წარდგინებით). დარგობრივი სადისერტაციო კომისიის დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე დოქტორანტს შესაბამისი დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

- ინტერვიუების და თვითშეფასების დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულია სასწავლო პროცესში პლაგიატის გამოვლენისა და რეაგირების პროცედურა. ეს შესაძლებელია როგორც ფიზიკური სახით წარმოდგენილი მასალის დამუშავებით, ასევე ელექტრონულად, ანტი პლაგიატის პროგრამის მეშვეობით. ანტიპლაგის პროგრამა არის აკადემიური არაკეთილსინდისიერების/პლაგიატის გამოვლენის (დეტექტირების) ელექტრონული სისტემა (Turnitin - ერაზმუს + საგრანტო პროექტის №2017585841-EPP-1-2017-1-GE-EPPKA2-CBHE-SP - „აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში“ (Academic Integrity for Quality Teaching and Learning in Higher Education Institutions in Georgia - INTEGRITY) ფარგლებში შეძენილი პროგრამა), რომელიც ინტეგრირებულია ელექტრონული სწავლების Moodle-ის პლატფორმაზე.

○ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეხვედრებიდან დადასტურდა, რომ სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების შესახებ ტარდებოდა სამუშაო შეხვედრები, ტრენინგები და ვორკშოპები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ბუნებრივ ნაერთთა ანალიზი“; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები ○ ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ○ გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 თებერვლის №23 დადგენილება ○ ბსუ-ს დოქტორანტურის დებულება, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის N19 დადგენილება ○ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ დებულება. დამტკიცებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N49 დადგენილებით, დანართი 2. ○ ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესი, ბსუ-ს აკადემიურის საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის №06-01/71 დადგენილება
რეკომენდაციები: ○ სასწავლო კურსების „სოციალური ფსიქოლოგია დოქტორანტებისთვის“, „აკადემიური წერა“ და „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ სილაბუსებში გასწორდეს შეფასების სქემაში ხარვეზები, კერძოდ: სასწავლო კურსის „სოციალური ფსიქოლოგია დოქტორანტებისთვის“ შეფასების კრიტერიუმებს არ აქვს ქულების მახასიათებლები (შეფასების სკალა); სასწავლო კურსის „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ შუალედური გამოცდის კრიტერიუმები და შეფასების სკალა არ არის ასახული სილაბუსში, დასკვნითი გამოცდის კრიტერიუმებს არ აქვს ქულების მახასიათებლები; სასწავლო კურსს „აკადემიური წერა“ შეფასების სქემაში დასკვნითი გამოცდის შეფასების რუბრიკებში არ აქვს ქულების მახასიათებლები, ხოლო სადაც არის მითითებული მაქსიმალური ქულა (მაგ. 3 ქულა) შეფასების სქემაში უნდა იყოს განსაზღვრული დონეების ქულების მახასიათებლები. გარდა ამისა, ამავე სილაბუსში გაწერილია შუალედური გამოცდის შეფასების კრიტერიუმები, მაგრამ გამორჩენილია შეფასების მეთოდის მითითება. ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ მისასალმებელია დოქტორის ხარისხის დაცვისათვის უცხოელი ექსპერტის დასკვნის აუცილებლობა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ პროგრამიდან ამოღებულია გამოცდებზე დაშვების წინაპირობად ლექციების 50% - ზე დასწრების ვალდებულება.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა. თუმცა სწავლების საფეხურისა და სტუდენტთა რაოდენობიდან გამომდინარე, აღსანიშნავია, რომ დოქტორანტებს ყოველდღიური, აქტიური კომუნიკაცია აქვთ ხელმძღვანელებსა თუ სხვა პერსონალთან.
- შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, მათ აქვთ კომუნიკაცია შესაბამის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან. ასევე აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა დოქტორანტი ჩართულია საგრანტო პროექტებში და/ან სწავლების პროცესში ქვედა საფეხურების (მაგისტრატურა, ბაკალავრიატი) სტუდენტებთან. შესაბამისად, აკადემიური ურთიერთობები მათ შორის ეფექტურად ხორციელდება.
- სწავლის დაწყებისთანავე პროგრამის ხელმძღვანელთან შეხვედრის ფარგლებში დოქტორანტებს ეძლევათ განმარტებები პროგრამის სტრუქტურის, სამეცნიერო და კვლევითი კომპონენტებისა და სხვა აქტივობების შესახებ. თითოეული დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით ადგენს გეგმას, რომლის მიხედვითაც უნდა განახორციელოს კვლევითი კომპონენტი. აღნიშნული დასტურდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და სტუდენტებთან გასაუბრებითაც.
- ბსუ-ში შექმნილია სტუდენტთა სამეცნიერო კვლევების სამსახური. ფაკულტეტებზე შექმნილია შესაბამისი მიმართულების სამეცნიერო კლუბები, რომელიც ჯერ კიდევ ბაკალავრიატის დონიდან ითვალისწინებს სტუდენტთა ჩართულობას. ტარდება საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციები, სადაც პროგრამის დოქტორანტები მონაწილეობას იღებენ როგორც დამოუკიდებლად, ისე ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებთან ცოდნის გაზიარებისა და მათი ხელმძღვანელობის ფორმით.
- დღეისთვის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს "დასავლეთ საქართველოს რეგიონული ქრომატოგრაფიული ცენტრი", რომელიც შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო გრანტის ფარგლებში შეიქმნა. აღნიშნული ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე ხელსაწყო-აპარატურით, რაც კარგი ბაზაა კვლევითი ინიციატივების განხორციელებისა და კარიერული განვითარებისათვის.
- სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მოახდინონ ინიცირებული პროექტების განხორციელება (ინდივიდუალური ან/და ერთობლივი) საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურულ-შემოქმედებითი ან სპორტული თემატიკის მიმართულებით. პროექტების გამოვლენის, განხილვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, რექტორი გამოსცემს ინდივიდუალური ბრძანებას კონკურსის გამოცხადების და საკონკურსო კომისია შემადგენლობის შესახებ.
- სტუდენტთა კონსულტირების კონტექსტში მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სტუდენტური პორტალი, სადაც გაწევრიანებულნი არიან ბსუ-ს სტუდენტები და პერსონალი. ეს არის ელექტრონული პლატფორმა, საიდანაც სტუდენტი იღებს ინფორმაციას სასწავლო კურსების, შეფასებების შესახებ; ასევე მისთვის

ხელმისაწვდომი ხდება სერვისები. ეს იქნება სხვადასხვა სახის ცნობის გაცემა, კანცელარიასთან კომუნიკაცია, სიახლეები საუნივერსიტეტო ცხოვრებაში და ა.შ; პორტალზევა განთავსებული კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაციები ტრენინგ-კურსების, კონფერენციების, ვაკანსიების შესახებ. პორტალზე ასევე დარეგისტრირებული არიან პოტენციური დამსაქმებლები, რომელთა საქმიანობის სფეროს შესახებ ცნობები სტუდენტებს მიეწოდებათ ინდივიდუალურად, სპეციალობების მიხედვით. პორტალთან ბმაშია ასევე უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკა და საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები. აღნიშნული ელექტრონული სივრცე ძალიან ეფექტურს ხდის სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალთან, დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციას, რამაც კიდევ უფრო დიდი დატვირთვა შეიძინა დისტანციური სწავლების პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სტუდენტური პორტალი https://portal.bsu.edu.ge/; ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი www.bsu.edu.ge ○ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N5 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულება“. ○ გასაუბრება ადმინისტრაციასთან, პერსონალთან, სტუდენტებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ უსდ-ს მიერ წარმოდგენილი პირადი საქმეების გაცნობის, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტის გაცნობის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი შედგება დარგში გამორჩეული კვალიფიკაციის მქონე პროფესორების, მკვლევარებისა და მეცნიერებისაგან. შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომის შესრულებას ხელმძღვანელობს თემატიკის შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტი. ○ სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელებმა და შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტებმა ისაუბრეს სადისერტაციო ნაშრომის თემის და ხელმძღვანელის არჩევის შესახებ. თითოეული დოქტორანტი თემაზე მუშაობს ინდივიდუალურად ხელმძღვანელთან, რომელიც ეხმარება სტუდენტს თემის შერჩევაში, გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, ეტაპობრივად ამოწმებს თემაზე მუშაობის პროცესს, უწევს კონსულტაციას, გამოთქვამს შენიშვნებს და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში ეხმარება მათ კორექტირებაში. ○ პროგრამაზე სადისერტაციო ნაშრომების შეფასებისთვის გამოიყენება უცხოელი ექსპერტის შეფასება. დაცვამდე სადოქტორო ნაშრომის ვრცელი, მოცულობითი ანოტაცია ეგზავნება უცხოელ ექსპერტს, რაც დადებითი ფაქტორია კვლევითი კომპეტენციებისა და ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პერსონალის პირადი საქმეები, CV; ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილება „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“. ○ გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, სტუდენტებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის პროფესორი, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორი, უნივერსიტეტის აგრარული და მემზრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის ანალიზური ქიმიისა და კვების პროდუქტების უსაფრთხოების და მემზრანული ტექნოლოგიების განყოფილებების 2 მეცნიერი, ფლორიდის უნივერსიტეტის მკვლევარი ქიმიკოსი და ზაარლანდის უნივერსიტეტის ბიოორგანული ქიმიის მიმართულების პროფესორი. გარდა ამისა, სასწავლო პროცესში ჩართულია ბსუ-ს სხვა ფაკულტეტის აკადემიური პირები- 3 პროფესორი და 2 ასოცირებული პროფესორი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სხვა ღონისძიებების განხორციელებისთვის. აკადემიურ პირთა და მოწვეულ მასწავლებელთა თანაფარდობაა 8/4. ○ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პირების და მოწვეული მასწავლებლების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, წარდგენილი მოხსენებები, გამოქვეყნებული ნაშრომები ადასტურებს, რომ პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ პერსონალს და მოწვეულ მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი გამოცდილება და კომპეტენცია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური პერსონალის CV-ები; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ მისასალმებელია უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერის ჩართვა პროგრამაში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ აკრედიტაციის ბოლო ვიზიტის შემდგომ მოხდა ამ სტანდარტში რეკომენდაციის და რჩევების სრულად გათვალისწინება. კერძოდ, გამოქვეყნებულია სტატიები იმპაქტ-

ფაქტორიან ჟურნალებში და პროგრამა გაძლიერდა მაღალი კვალიფიკაციის მქონე ახალგაზრდა პერსონალით.

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ბსუ-ს ყოველწლიურ ბიუჯეტით განსაზღვრულია უნივერსიტეტის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ფონდი, რომელიც გამოყენებული იქნება კვალიფიკაციის ამაღლების თუ გამოცდილების გაზიარების მიზნით პერსონალის სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისათვის. ამ ფონდის დაფინანსებით პროგრამის აკადემიური პირები იმყოფებოდნენ საერთაშორისო კონგრესზე, სადაც წარდგენილი პუბლიკაციების მასალები დაიბეჭდება მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში. პერიოდულად ტარდება ტრენინგები სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პირები და დოქტორანტები არიან ამერიკის ქიმიკოსთა ასოციაციის წევრები, ამით მათ საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ მნიშვნელოვან საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში.
- ბსუ ახორციელებს პროფესორ-მასწავლებელთათვის ენობრივი (ინგლისური ენა) კომპეტენციების ამაღლების ხელშეწყობის პროგრამას.
- ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა მიზნად ისახავს აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმის სრულყოფას. სწორედ ამიტომ შემუშავდა ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, რომელიც 2018 წელს ამოქმედდა. პროფესორ მასწავლებლების შეფასება მოიცავს, როგორც მათ პედაგოგიურ ასევე სამეცნიერო საქმიანობას. იგი ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, სილაბუსების განახლება-სრულყოფის, სასწავლო მასალის მომზადების პროცესში,

სამეცნიერო ღონისძიებებსა და საგრანტო პროექტებში პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობის შეფასებას, სასწავლო პროცესის მონიტორინგს, სამეცნიერო ნაშრომების ხარის-ხობრივ ანალიზს, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას და სხვა. აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის კრიტერიუმებშია გათვალისწინებული, რაც ზრდის პროფესორ-მასწავლებელთა პასუხისმგებლობას და სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას ხელს უწყობს. შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის. ○ ფაკულტეტის აკადემიური პირები აქტიურად თანამშრომლობენ უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, აწარმოებენ ერთობლივ სამეცნიერო კვლევებს, მონაწილეობენ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და გაცვლით პროექტებში. „ERASMUS+“-ის ფარგლებში აკადემიური პერსონალი მონაწილეობს გერმანიის ზაარლანდის უნივერსიტეტის ბიოორგანული ქიმიის განყოფილების ერთობლივ კვლევებში. ამ პროექტის ფარგლებში ზაარლანდის უნივერსიტეტის დოქტორანტი იმყოფებოდა ბსუ-ს ქიმიის დეპარტამენტსა და დასავლეთ საქართველოს ქრომატოგრაფიულ ცენტრში. კვლევების შედეგები აისახა ერთობლივ პუბლიკაციებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“; ○ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის №4 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი“; ○ სამეცნიერო საგრანტო პროექტები; ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/95 დადგენილებით დამტკიცდა „ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა“; ○ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 9 მარტის № 2 გადაწყვეტილება „სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კონფერენციაზე, სემინარზე, კონგრესზე, ფორუმზე და სხვა მსგავს ღონისძიებაზე მონაწილეობის დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“; ○ საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტები; ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის №28 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ შესახებ; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და ადმინისტრაციის თანამშრომლებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა. პროგრამით გათვალისწინებული კვლევები ტარდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „დასავლეთ საქართველოს რეგიონალურ ქრომატოგრაფიულ ცენტრში“ ქიმიის დეპარტამენტის ლაბორატორიებსა და აგრარული და მემზრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის კვების პროდუქტების უსაფრთხოებისა და ანალიზური ქიმიის განყოფილების კვლევით ლაბორატორიები. ○ „დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ქრომატოგრაფიული ცენტრი“ და ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე ხელსაწყო-მოწყობილობებით: მაღალი წნევის თხევადი ქრომატოგრაფიით Waters (UV/VisibleDetector 2489, Binary HPLC Pump 1525) (ულტრაიისფერი და ხილული დიაპაზონის დეტექტორით), 2414 RI Detector (რეფრაქტომეტრული ინდექსის დეტექტორით), (Fraction Collector) ფრაქციების კოლექტორით, (სხვადასხვა სვეტით) -აშშ ; იზოკრატიული კონდუქტომეტრული დეტექტორით (Waters Breeze Isocratic Manual 432 Conductivity Detector) (სხვადასხვა სვეტით) -აშშ; აირ-სითხური ქრომატოგრაფიით Thermo TRACE 1310 Mainframe 230V (სხვადასხვა სვეტით) -აშშ;

ზემაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფიული სისტემა, მას-დეტექტორით (Waters Acquity UPLC H-Class Core System, Acquity Qda Single Quadupole Mass-Detector) (სხვადასხვა სვეტი)-აშშ ;

სუპერკრიტიკული წნევის ფლუიდური ექსტრაქტორი (Waters SFE 100 with) -აშშ;

- ქრომატოგრაფიულ ცენტრში არის ასევე ქიმიური სინთეზის და ანალიზისთვის საჭირო სტანდარტული აღჭურვილობა: ვაკუუმამართლებლები INGOS (ვაკუუმტუმბოთი), pH-მეტრი Mettler Toledo, ლაბორატორიული კონდუქტომეტრი S230 (Mettler Toledo), ტემპერატურული რეგულირების მქონე გამაცხელებლები, ულტრაბგერითი აბაზანა, წყლის თერმოსტატი, მნჯღრეველა, დამქუცმაცებელი, ციფრული ანალიზური სასწორები, საშრობი კარადები, მუფელის ღუმელი, ცენტრიფუგები სხვადასხვა ბრუნვის სიხშირით და გაცივების რეჟიმით, ინფრაწითელი სპექტრომეტრი Agilent Cari 630 FTIR, სპექტროფოტომეტრები Mettler Toledo UV-5A.
- უნივერსიტეტის ყოველწლიური ბიუჯეტი და საგრანტო პროექტები იძლევა მატერიალ-ტექნიკური ბაზის მოვლის და გაუმჯობესების შესაძლებლობას. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და დოქტორანტები ასრულებენ სახელმეცრულებო სამუშაოებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული კომპანიების დაკვეთით. კომერციული საქმიანობით შემოსული თანხის ნაწილი ხმარდება პროგრამით გათვალისწინებული მასალის, რეაქტივების და ნედლეული შეძენას.
- ბსუ დარეგისტრირებულია პროექტში “ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის - eIFL” კონსორციუმის წევრად, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები: EBSCOHost (<http://search.epnet.com>), Oxford University Journals (<http://www.oxfordjournals.org>), Oxford Reference Online (<http://www.oxfordreference.com>), Royal Society Journals Collection (<http://royalsocietypublishing.org>), BioOne (<http://www.bioone.org>). ბსუ-ს პერსონალსა და სტუდენტებს აქვთ წვდომა LLC “CLARIVATE”-ს მონაცემთა ბაზებზე და შეუძლიათ ისარგებლონ ელექტრონული სამეცნიერო ბაზებით:
Cambridge Journals Online (<https://www.cambridge.org/core>)
e-Duke Journals Scholarly Collection (<https://www.dukeupress.edu/>)
Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/page/70/journals>)
IMechE Journals (<https://us.sagepub.com/en-us/nam/IMeche>)
IMF eLibrary (<http://www.elibrary.imf.org/?redirect=true>)
New England Journal of Medicine (<http://www.nejm.org/>)
Royal Society Journals Collection (<https://royalsociety.org/journals/>)
SAGE Premier (<https://us.sagepub.com/en-us/nam/sage-premier>)
Academic Search ELITE (<https://www.ebsco.com/request-information/academic-search-elite>)
Business Source ELITE (<https://www.ebsco.com/products/research-databases/business-source-elite>)
MasterFILE ELITE (<https://www.ebsco.com/products/research-databases/masterfile-elite>)
MEDLINE (<https://www.ebsco.com/products/research-databases/medline>)

Health Source: Consumer Edition (https://www.ebsco.com/products/research-databases/health-source-consumer-edition) Library and Information Center (LISTA) (https://www.ebsco.com/products/research-databases/library-information-science-and-technology-abstracts) ○ ბსუ-ში ფუნქციონირებს შიდა ელექტრონული პორტალი, რომელიც აერთიანებს სტუდენტების მონაცემებს. ამ პორტალის დახმარებით სტუდენტებს შეუძლიათ უნივერსიტეტში მიუსვლელად, ელექტრონულად მიიღონ ინფორმაცია, გამოითხოვონ დოკუმენტები, მიიღონ ცნობები ელექტრონული ბეჭდით და მოიძიონ დამსაქმებლები. ○ ჯამში, პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ვიზიტი ქრომატოგრაფიულ ცენტრში; ○ კომერციული ხელშეკრულებები; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და პერსონალთან; ○ ვიზიტი ბსუ-ს ბიბლიოთეკაში ○ ა(ა)იპ - საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმთან გაფორმებული ხელშეკრულება; EBSCO-ს მონაცემთა ბაზების გამოყენების მაჩვენებელი; ○ ბსუ-ს ელექტრონული პორტალის პრეზენტაცია. ○ ინტერვიუ დოქტორანტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია დოქტორანტები უფრო აქტიურად იყენებდნენ უნივერსიტეტის შიდა ქსელში ხელმისაწვდომ ელექტრონულ ჟურნალებს და მონაცემთა ბაზებს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ ლაბორატორიის ხელსაწყოებით დაკომპლექტება, რომლის ბაზაზეც ხორციელდება წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა, ქართული რეალობისათვის არის უნიკალური;
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ 2018 წლის ვიზიტის შემდგომ მოხდა რამდენიმე ახალი ხელსაწყოების შეძენა და ლაბორატორიის ფართის მომატება.
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს უნივერსიტეტის ბიუჯეტი, რომელიც მიმართულია მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე და ასევე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ○ პროგრამის დასაფინანსებლად თანხების ძირითადი ნაწილის მოძიება ხდება შიდა და გარე გრანტების მოპოვებით. თანხების ნაწილის მოძიება ხდება აგრეთვე კომერციული სერვისებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის ბიუჯეტი ○ პროგრამის ბიუჯეტი ○ საგრანტო პროექტები ○ ხელშეკრულებები ○ ინტერვიუ ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან ○ თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ დოქტორანტთა ფინანსური მხარდაჭერა (გრანტები, შიდა დაფინანსება, კომერციული შეკვეთები). ○ ლაბორატორიის კომერციული საქმიანობიდან მიღებული სახსრების ნაწილი ხმარდება სასწავლო პროცესს.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ აკრედიტაციის ბოლო ვიზიტის შემდგომ მოხდა რჩევის გათვალისწინება და კონკრეტულად ამ პროგრამის ბიუჯეტის გაწერა.
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და

ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, თანმიმდევრულ პროცესებს, რომელიც მიზნად ისახავს და აღწერს ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო პოლიტიკის, მექანიზმებისა და პროცედურების სისტემას, რომელთა დახმარებითაც ხორციელდება ხარისხის შიდა შეფასება. შიდა ხარისხის შეფასება რეგლამენტირებულია ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში.
- ამ პოლიტიკის განსაზღვრის მექანიზმები არის წარმოდგენილი და აღწერილი შემდეგ დოკუმენტებში: აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი, აგრეთვე სწავლისა და სწავლების პროცესების მონიტორინგი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა. შემუშავდა სტუდენტთა გამოკითხვებისა და აკადემიური მოსწრების დამუშავების ელექტრონული სისტემა, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამებისა და აკადემიური პერსონალის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს.
- თვითშეფასების მასალებიდან და ვიზიტის დროს ინტერვიუდან დგინდება, რომ დოქტორანტურის პროგრამის 2018 წლის 27 ივლისის №87 გადაწყვეტილებით მინიჭებული ერთი წლის ვადის რეკომენდაციების და რჩევების გათვალისწინება, აგრეთვე აკრედიტაციის პროცესის მზადება ხდებოდა წინასწარ განსაზღვრული განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალის გეგმის მიხედვით.
- სადაც ამ აქტივობების დაგეგმვის, შემუშავების, ეფექტიანი განხორციელების და განვითარების ხელშეწყობას, მონიტორინგს და კოორდინირებას უწევდა როგორც საუნივერსიტეტო, ისე საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და კოორდინატორი დარგობრივ დეპარტამენტიდან.
- ამ აქტივობების საფუძველზე განხორციელდა პროგრამის და სასწავლო კურსების ცვლილებები, სადოქტორო პროგრამამ განიცადა სერიოზული პროგრესი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ბუნებრივ ნაერთთა ანალიზი“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;

○ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან; ○ სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები; ○ ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის №28 დადგენილებით დამტკიცებული; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები; ○ ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილებით დამტკიცებული; ○ ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილებით დამტკიცებული; ○ ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №66 დადგენილება; ○ ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2018 წლის 02 ოქტომბრის №02-02/49 ბრძანება „ბსუ-ს ზოგიერთ აკადემიურ პერსონალისათვის დარგობრივ დეპარტამენტებში ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორის ფუნქციის დაკისრების შესახებ“; ○ ბსუ-ს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის, 17 ივლისის №10 გადაწყვეტილებით.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ თვითშეფასების საფუძველზე და ინტერვიუდან ირკვევა, რომ ბსუ-ს ქიმიის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის საბჭომ 2018 წლის 27 ივლისის №87 გადაწყვეტილების საფუძველზე მიანიჭა აკრედიტაცია ერთი წლით. ასევე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს №56 გადაწყვეტილებით საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია. ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ 2018 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში და აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში ასახული რეკომენდაციები და რჩევები მაქსიმალურად არის გათვალისწინებული, კერძოდ: შეიცვალა დასახელება და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად- „ბუნებრივ ნაერთთა ანალიზი“ შესაბამისად ერთმანეთთან თანხვედრაში მოვიდა პროგრამის სახელწოდება, მიზნები და შინაარსი; სპეციალობის სასწავლო კურსებში განახლებული იქნა ლიტერატურა, შეიცვალა შეფასების კომპონენტები და მეთოდები, რომლებიც კიდევ უფრო მიღწევადს ხდის მიზანს. გარკვეული ცვლილებები განხორციელდა სილაბუსების თემატიკაში, დაემატა ახალი არჩევითი კურსები. კერძოდ, სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები და ხერხები“ შეივსო ახალი მეთოდების შესწავლისა და გამოყენების თემატიკით. დაემატა საკითხი ბირთვულ-მაგნიტური სპექტროსკოპია და შესაბამისი ლიტერატურა; დაემატა არჩევითი კურსები, რათა დოქტორანტის კომპეტენცია არ იყოს ვიწრო, შეიძინონ უფრო ღრმა ცოდნა „არა მარტო კონკრეტულ ქვედარგში, არამედ დარგში; მოდიფიცირდა ზოგიერთი სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები, ამოღებულ იქნა ლაბორატორიული სამუშაოები და ჩანაცვლდა პრაქტიკული მეცადინეობებით, მოხდა შეფასების თითოეული ქულის დაკონკრეტება, რაც დაეხმარება სტუდენტს პრობლემის დანახვასა და ცოდნის სრულყოფაში; გაძლიერდა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია. ○ პროგრამა შეაფასა მხოლოდ ერთმა გარე ექსპერტმა, სასურველია, რეცენზიები და გამოხმაურებების რაოდენობა გაიზარდოს და უმჯობესია უცხოელი ექსპერტის ჩართვა ამ პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ბუნებრივ ნაერთთა ანალიზი“; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ აკრედიტაციის საბჭომ 2018 წლის 27 ივლისის №87 გადაწყვეტილება; ○ საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია პროგრამის შეფასებაში უცხოელი ექსპერტ(ებ)ის ჩართვა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით; შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. ○ აღნიშნული მექანიზმის ეფექტურობა თვალსაჩინოა ბოლო წლებში მიღწეული პროგრესის მაგალითზე პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების კუთხით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ქიმიის სადოქტორო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში;

○ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის სამსახურის თანამშრომლებთან, პედაგოგებთან, დოქტორანტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან; ○ ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები; ○ დამსაქმებელთა გამოკითხვის ელექტრონული სისტემა; ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

ბუნებრივ ნაერთთა ანალიზი, დოქტორანტურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 42

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა რევაზ კორაშვილი

R. Kura

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ინგა ლომაძე

ინგა ლომაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ანი ბილანიშვილი

ანი ბილანიშვილი